საქართველოს
სახალხო დამცველი

ბავშვის უფლებების ცენტრი

სპეციალური ანგარიში

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა

თბილისი

2017

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის(იუნისეფი) ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი და პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ ეკუთვნის გაეროს ბავშვთა ფონდს.

საქართველოს
სახალხო დამცველი

unicef
for every child

სარჩევი

შესავალი 4

1. **მონიტორინგის მეთოდოლოგია** 5

2. **მონიტორინგის შედეგები** 6

2.1. სკოლის უსაფრთხოების შეფასება 8

2.2. ძალადობის აღქმა და მისი გამოვლენის ფორმები სკოლაში.. 10

2.3. სკოლის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული ძალადობა 12

2.4. მოსწავლეებს შორის ძალადობა 16

2.5. მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომის და ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები 19

2.6. მოსწავლეების დამოკიდებულება ტოლერანტობისადმი 27

3. **დასკვნა** 28

4. **რეკომენდაციები** 29

5. **დანართი – მოსწავლეთა მინაწერები კითხვარებზე** 30

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სპეციალურ ანგარიშს, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ 2016–2017 სასწავლო წლის განმავლობაში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის კუთხით ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს ასახავს. აღნიშნული მონიტორინგი გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ მხარდაჭერილი პროექტის, „ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება", ფარგლებში ჩატარდა.

საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენცია, შემთხვევათა დროული გამოვლენა და დაცვისა და დახმარების ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება. საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებთან ერთად, პრობლემურია სერვისების მიწოდებისას არსებული ხარვეზები, რაც ბავშვის ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან დაცვის მაჩვენებელზე ნეგატიურად აისახება. გარდა ამისა, აღნიშნულ ვითარებას ერთვის საზოგადოებაში არსებული აღზრდის მცდარი სტერეოტიპებიც[1].

საქართველოს სახალხო დამცველი, უფლებრივი სივრცის მიმოხილვისას, განსაკუთრებულ ყურადღებას არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობრივი გარემოს შეფასებასა და გამომწვევი ფაქტორების ანალიზს უთმობს. 2013-2017 წლებში, ბავშვთა სააღმზრდელო, საგანმანათლებლო თუ სამზრუნველო დაწესებულებების შემოწმებამ და სახალხო დამცველის აპარატში შემოსული საქმეების ანალიზმა, აჩვენა, რომ ქვეყანაში კვლავ მაღალია ბავშვის მიმართ ძალადობრივი დამოკიდებულების ზოგადი ფონი, ხოლო სახელმწიფოს აღნიშნული ვითარების მოსაგვარებლად ეფექტიანი ღონისძიებები არ გაუტარებია. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, ბავშვის მიმართ ძალადობას ის პირები სჩადიან, ვისი სამსახურებრივი ფუნქციაც არის ბავშვზე ზრუნვა, მისი აღზრდა და განათლება.

სწორედ ამ საკითხს ეხება წინამდებარე სპეციალური ანგარიში, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (საჯარო სკოლების, სკოლა-პანსიონებისა და კერძო სკოლების) მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე, საგანმანათლებლო–სააღმზრდელო სივრცეში ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან დაცვის ხელშეწყობის მიზნით მომზადდა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, ამ მიმართულებით, საქართველოს სახალხო დამცველის მანდატის ფარგლებში, პირველად შემოწმდა. სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ვიზიტები განახორციელეს მთელი საქართველოს მასშტაბით **109 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში,** მათგან 98 საჯარო და 5 კერძო სკოლაში, გარდა ამისა, 6 სკოლა პანსიონში.

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კვლავ გამოწვევად რჩება მოსწავლეთა დაცვა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და არასათანადო მოპყრობისაგან: ხშირია ბავშვის მიმართ როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ძალადობის შემთხვევები უფროსებისა და თანატოლების მხრიდან; მოსწავლეთა შორის ბულინგი[2] არასრულწლოვანთა ურთიერთობის ფართო მასშტაბით გავრცელებული ფორმაა; სუსტია მოსწავლეთა ცოდნა თავიანთი უფლებების შესახებ, ამასთან, დაბალია პასუხისმგებელ პირთა კომპეტენცია ბავშვის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობაზე რეაგირების მექანიზმთან დაკავშირებით, შესაბამისად, არ ხორციელდება ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მიმართული რეაგირება; არასაკმარისია ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისებიც[3].

1 ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013 წ. იხ:http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf

2 აგრესიული ქცევა, რომლის დროსაც ერთი მეორეს წინასწარი განზრახვით აყენებს ზიანს ან უქმნის დისკომფორტს. ბულინგი ძალადობის თითქმის ყველა ფორმას მოიცავს. ის შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური კონტაქტის გზით, ვერბალურად ან სხვა ქმედებებით;

3 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ფუნქციონირებს: თბილისში, რუსთავში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში, გორსა და ფოთში;

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლებში მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის, კერძოდ, ძალადობისგან მათი დაცვის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკისა და შესაბამისი კანონმდებლობის, ამასთან, ამ სფეროში მოქმედი შიდა მექანიზმების არსებითი გაძლიერება.

1. მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგის პროცესი ემყარებოდა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიერ შემუშავებულ ისეთ სახელმძღვანელო პრინციპებს[4], როგორიცაა სარწმუნო და ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, კონფიდენციალობის დაცვა, სანდოობა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა, სენსიტიურობა და პროფესიონალიზმი, ზიანის მიუყენებლობა, მანდატის პატივისცემა, სტანდარტების ცოდნა, საღად განსჯა, კონსულტაციების გავლა, ხელისუფლების ორგანოებისადმი პატივისცემა, უსაფრთხოება, ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინება, სიზუსტე, პატიოსნება და თვალსაჩინოება.

მონიტორინგის მიზანი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ განხორციელებული სავარაუდო ძალადობის პრევენციისა და სავარაუდო ძალადობისგან დაცვის ხელშეწყობა. შესაბამისად, მონიტორინგის ამოცანა იყო სისტემური და ინდივიდუალური დარღვევების იდენტიფიცირება, არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებული სავარაუდო ძალადობის პრევენციის ხელშეწყობისა და სავარაუდო ძალადობისგან დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა, მათ შორის, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“, 2016 წლის 12 სექტემბრის მთავრობის დადგენილების საფუძველზე ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში სავალდებულო რეაგირების მექანიზმისა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირებისა[5] თუ უწყებების[6] ინფორმირებულობისა და საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება.

მონიტორინგი „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში ჩატარდა; მონიტორინგის ჯგუფი ხელმძღვანელობდა საქართველოს კონსტიტუციით, გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციით, საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ და სხვა საერთაშორისო/ეროვნული სამართლებრივი აქტებით.

მონიტორინგის ეტაპები – საწყის ეტაპზე განისაზღვრა და შემუშავდა მონიტორინგის ძირითადი ინსტრუმენტები, გამოვითხოვეთ სტატისტიკური და სხვა საჭირო ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

დაგეგმვის შემდგომ ეტაპზე განისაზღვრა კვლევის რაოდენობრივი შერჩევის დიზაინი, როგორც ორსაფეხურიანი სტრატიფიცირებული - მოსწავლეთა ერთობლიობა მუნიციპალიტეტების მიხედვით გადანაწილდა პროპორციულად, მცირე კორექტირებით, ხოლო სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა, პედაგოგთა და მანდატურთა ერთობლივი რაოდენობა თითოეულ მუნიციპალიტეტში განისაზღვრა თანაბრად, ასევე მცირედი კორექტირებით. საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში რენდომულად შეირჩა ქალაქში/რაიონულ ცენტრსა და სოფლად მდებარე ის სკოლები, სადაც მონიტორინგი ჩატარდებოდა.

---

4 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარი, „სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების მონიტორინგის შესახებ“, პროფესიული ტრენინგების სერია N7, თავი 5, ძირითადი პრინციპები, ჟენევა, ISBN 92-1-154137-9.

5 საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეფერირების პროცედურაზე პასუხისმგებელი სუბიექტია მანდატური, ხოლო იმ სკოლებში, სადაც მანდატურები არ არიან - დირექტორი ან დირექტორის მოადგილე.

6 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მონიტორინგის ინსტრუმენტი – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგი განხორციელდა სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი (კითხვარები თანამშრომლებისა და უფროსი კლასის მოსწავლეებისთვის) და თვისობრივი (ინტერვიუ მანდატურებსა და სკოლის დირექციასთან, ფოკუს ჯგუფები მე-5, მე–6, მე–7 კლასის მოსწავლეებთან) მეთოდებით.

თვისობრივი კვლევა – წარიმართა წინასწარ შემუშავებული თემატური კითხვების მეშვეობით, რომლებიც ეხებოდა მოსწავლეთა უფლებრივ მდგომარეობას სკოლაში, ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებას, სკოლის მიერ მსგავსი შემთხვევების მართვის მექანიზმს, პროფესიულ პასუხისმგებლობას ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით და სხვა. თვისობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 124 ჩაღრმავებული ინტერვიუ, აქედან 93 სკოლის დირექტორთან, ორ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან, 6 დირექტორის მოადგილესთან და 23 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან.

ამასთან, ჩატარდა 83 ფოკუს ჯგუფი მე-5, მე-6 და მე-7 კლასის 584 მოსწავლესთან. ფოკუს ჯგუფების მიზანი იყო იმ ძალადობრივი შემთხვევების გამოვლენა, რომლებიც მოსწავლეებს გადახდათ. მეთოდი ემყარებოდა შემთხვევითი შერჩევის, ნებაყოფლობითობის, ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის პრინციპებს, ბავშვის აზრის გამოხატვისა და გათვალისწინების უფლებას და მის საუკეთესო ინტერესებს.

რაოდენობრივი კვლევა ითვალისწინებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციისა და თანამშრომლების, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებისა და სკოლის მოსწავლეების მიერ სპეციალურად შემუშავებული ანონიმური კითხვარების შევსებას, სადაც წარმოდგენილი იყო საკვლევ საკითხთან დაკავშირებული გარემოებები და კითხვები. კითხვარები შეავსო მე-8, მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასების 1861-მა მოსწავლემ და სკოლაში დასაქმებულმა 1739-მა პირმა, მათ შორის სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, პედაგოგებმა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებმა.

ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, სახალხო დამცველმა საქმისწარმოება დაიწყო ბავშვის მიმართ ძალადობის 47 ინდივიდუალურ შემთხვევაზე.

მონიტორინგის ფარგლებში ასევე გავეცანით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შინაგანაწესს, დირექტორისა და სხვა პასუხისმგებელი პირების ბრძანებებს/განკარგულებებს და ა. შ. სავალდებულო დოკუმენტაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა სპეციალური რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ სფეროში არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებული ძალადობის პრევენციასა და ძალადობისგან დაცვას.

2. მონიტორინგის შედეგები

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია ბავშვთა უფლებებისა და ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ, თუმცა მათი ცოდნა ზედაპირულია და უჭირთ უფლებებისა და მოვალეობების ერთმანეთისგან გამიჯვნა. სკოლებში გავრცელებულია ძალადობის როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ფორმები, თუმცა ხშირია მოსწავლეთა შორის ძალადობის, განსაკუთრებით, ბულინგის შემთხვევების იგნორირება. მოსწავლეების უმრავლესობას არ აქვს დახმარების მიღების იმედი და გამოცდილება, არც ინფორმაცია დახმარების მიღების გზების შესახებ.

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა უმეტესობა სწორად განმარტავს ძალადობას და ინფორმირებულიც არის ძალადობის ამა თუ იმ სახეობის შესახებ, თუმცა რესპონდენტებისთვის, განსაკუთრებით მოსწავლეებისთვის, ძალადობრივი ქმედებების აღქმა შედარებით „მსუბუქია“, მით უფრო, თუ საქმე ეხება ფიზიკური ძალადობის ასევე „მსუბუქ“ ფორმებს. სკოლაში, უფროსებს შორის, ძალადობის განმახორციელებლად ყველაზე ხშირად გვევლინებიან მოსწავლეებთან აქტიურ კომუნიკაციაში მყოფი პირები - საგნის მასწავლებელი და დამრიგებელი. ძალადობის სხვადასხვა ფორმებიდან ცალსახად იკვეთება ყვირილი, რომელსაც ყველაზე მეტი მოსწავლე ასახელებს უფროსების მიერ გამოყენებულ მიმართვად (იხ. გრაფიკი N1).

გრაფიკი N1



სკოლის თანამშრომლები, უმეტესწილად, არ ახსენებენ თავიანთი კოლეგების მიერ მოსწავლეების მიმართ ჩადენილ ძალადობის ფაქტებს, თუმცა აქტიურად საუბრობენ სკოლის გარეთ, კერძოდ, ოჯახში მოსწავლეებზე განხორციელებული ძალადობის შესახებ. კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან მოსწავლის მიმართ ჩადენილი ძალადობის შემთხვევაში, სკოლის თანამშრომლების მიერ გამოყენებულ ძირითად ღონისძიებას წარმოადგენს სკოლის ადმინისტრაციის ან/და ისევ მშობლის ინფორმირება. თუმცა რესპონდენტები ასევე მიუთითებენ სახელმწიფო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებზეც[7].

დირექციის წარმომადგენლებისთვის, პედაგოგებისა და მანდატურებისთვის დასმულ კითხვაზე, რა საერთაშორისო და ადგილობრივ დოკუმენტებს, კანონებს და კანონქვემდებარე აქტებს იცნობენ, რომლებიც არეგულირებს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში, გაცემულ პასუხებს შორის დასახელდა შემდეგი საერთაშორისო დოკუმენტები: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (შემთხვევათა 65.8%); ასევე მაღალი ხვედრითი წილი აქვს სკოლის შინაგანაწესს (შემთხვევათა 26.9%). თუმცა საქართველოს მთავრობის დადგენილება, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“, რესპონდენტთა მხოლოდ 2.8%-მა დაასახელა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სკოლის თანამშრომლებს საკმარისად არ აქვთ გაცნობიერებული საკუთარი პროფესიული მოვალეობა ძალადობის პრევენციისა და მართვის საქმეში; სუსტია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ცოდნა და აღნიშნულის საფუძველზე საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება; რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, უმეტესად, დირექტორი, ხშირად არ ფლობს ინფორმაციას მოცემული სამართლებრივი დოკუმენტის შესახებ[8].

7 გამოკითხულთაგან მხოლოდ შვიდმა რესპონდენტმა დააკონკრეტა, რომ მიმართავს რეფერირების პროცედურებს.

8 სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით გათვალისწინებული ქმედებების შესაბამისად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში 2015-2016 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან 130 მიმართვა შევიდა (კორესპონდენცია N 04/50079).

გრაფიკი N2

რა საერთაშორისო და ადგილობრივ დოკუმენტებს, კანონებს, კანონქვემდებარე აქტებს იცნობთ, რომლებიც არეგულირებს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში?



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კერძო სკოლების დირექტორებისგან მიღებული ინფორმაციით, მათ არ მიუღიათ ცნობა მთავრობის დადგენილების შესახებ[9]. ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტზე რეაგირების მიზნით, ისინი, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიმართავენ სამართალდამცავებს და სოციალურ სამსახურს. თუმცა, ინდივიდუალური საქმისწარმოებისა და მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ კერძო სკოლებში მოსწავლეთა უფლებადარღვევის ფაქტებზე, როგორც ნორმატიულ, ასევე, პრაქტიკულ დონეზე, რეაგირების ეფექტიანი მექანიზმი არ არის განსაზღვრული.

2.1. სკოლის უსაფრთხოების შეფასება

მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა სკოლის უსაფრთხოების საკითხი, რომელიც მოიცავდა ბულინგის, უცხო პირთა მხრიდან სკოლის ტერიტორიაზე შეღწევისა და სკოლის ფარგლებში არსებული უსაფრთხოების დარღვევის საკითხებს.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, სკოლა ვალდებულია შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. რესპონდენტები ყველა პარამეტრის მიხედვით უსაფრთხოდ მიიჩნევენ თავიანთ სკოლას. თუმცა, ამავდროულად გამოვლინდა, რომ ბულინგი და უცხო პირების მიერ სკოლაში შეღწევა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

9 საქართველოს მთავრობის დადგენილება N437 „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“, 2016 წლის 12 სექტემბერი.

უსაფრთხოების განცდაზე საუბრისას, მოსწავლეთა უმრავლესობა ამბობს, რომ სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობს, თუმცა მოსწავლეების ნაწილი საფრთხის მაღალ შემცველობაზე მიუთითებს (გამოკითხულთა 10.5%)(იხ. გრაფიკი N3). მნიშვნელოვანია, რომ „ძალზე უსაფრთხოდ" მცირეკონტინგენტიან სკოლებში უფრო მეტი მოსწავლე გრძნობს თავს (75.5%), ვიდრე დიდკონტინგენტიან სკოლებში (55.5%), რაც იმაზე მეტყველებს, რომ უსაფრთხოების განცდაზე გავლენას ახდენს, როგორია სკოლა - დიდი თუ მცირეკონტინგენტიანი. სადაც მეტი მოსწავლეა, იქ საფრთხის განცდა შედარებით მეტია.

გრაფიკი N3[10]



კვლევის შედეგების მიხედვით, სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების შეხედულებები განსხვავდება. თანამშრომლები, მოსწავლეებისგან განსხვავებით, უფრო უსაფრთხოდ განიხილავენ სკოლას სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით (იხ. გრაფიკი N4).

გრაფიკი N4



10 მონაცემები დათვლილია 5–ბალიან სკალაზე, სადაც 5 ნიშნავს საფრთხის მაღალ დონეს, ხოლო 1 – საფრთხის არარსებობას. სკალის ნეიტრალური პუნქტია 3; მონაცემები 3–ზე ზევით შეესაბამება დადებითი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები 3–ზე ქვევით – უარყოფითი შეფასების ველს.

როდესაც საკითხი ეხება სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების დასახელებას, რესპონდენტები (მოსწავლეები და სკოლის თანამშრომლები) მიიჩნევენ, რომ სკოლის უსაფრთხოება ძირითადად ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს და პასუხისმგებლობის მაღალი წილიც სწორედ მათ ეკისრებათ. ამ მხრივ, იკვეთება საკუთარი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებისა და სხვისთვის დაკისრების მცდელობის ტენდენცია. საკუთარ პასუხისმგებლობას აღნიშნული საკითხის მიმართ მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა მხოლოდ 8-10% აღიარებს. სხვადასხვა ჭრილის მიხედვით (მანდატურის ინსტიტუტის მქონე, მცირე/დიდკონტინგენტიანი, მაღალმთიან რეგიონში/ბარში მდებარე სკოლები) ანალიზმა მხოლოდ ნიუანსური განსხვავებები გამოავლინა, მათ შორის გამოიკვეთა შემდეგი: მცირეკონტინგენტიან სკოლაში მანდატურს გაცილებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის საკითხში, ვიდრე დიდკონტინგენტიან სკოლებში (იხ. გრაფიკი N5).

გრაფიკი N5

ვინ არის პასუხისმგებელი სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე?



2.2. ძალადობის აღქმა და მისი გამოვლენის ფორმები სკოლაში

რა ქმედებებს მოიაზრებენ ძალადობად სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები?

ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლეებს შორის ძალადობის იდენტიფიცირება პასუხისმგებელი პირების მხრიდან მინიმალურია და არ ასახავს პრობლემის გავრცელების რეალურ სურათს. სკოლის დირექციის წარმომადგენლები და მანდატურები არ ფლობენ ბაზისურ ცოდნას ძალადობის სახეების შესახებ; მათ უჭირთ ძალადობის ცნების განსაზღვრა; **სკოლებში არ არსებობს ძალადობის იდენტიფიცირებისა და რეაგირების ერთგვაროვანი მექანიზმი.**

რაოდენობრივ კვლევაში, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა სწორად მიუთითებს, არის თუ არა ესა თუ ის დასახელებული ქმედება ძალადობა, ყურადღებას იქცევს იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც აშკარა ძალადობის ფაქტებს ძალადობად არ აღიქვამენ, მაგალითად, **სრულად ან უფრო არ ეთანხმებიან** ფიზიკური ძალადობის ისეთ თვალსაჩინო გამოვლინებებსაც კი როგორიც არის ცემა, თავში წამორტყმა, ხელის კვრა, ყურის აწევა, თმის მოქაჩვა და სხვა.

გრაფიკი N6



სკოლის თანამშრომლების, და განსაკუთრებით მოსწავლეების მნიშვნელოვან ნაწილს, ძალადობად არ მიაჩნია მოსწავლის, დასჯის მიზნით, გაკვეთილის განმავლობაში ფეხზე დაყენება (მოსწავლეების 51%; სკოლის თანამშრომლების 21%); დასჯის მიზნით მოსწავლის მიერ საკლასო ოთახის/ეზოს/ სკოლის დერეფნის/ტუალეტის დალაგება (მოსწავლეების 29.1%; სკოლის თანამშრომლების 25.6%); სკოლის თანამშრომლების მიერ მოსწავლის (მოსწავლეების) დაბარება შინამეურნეობაში დასახმარებლად (მოსწავლეების 31.9%; სკოლის თანამშრომლების 11.4%).

როგორც რაოდენობრივი კვლევის მონაცემები აჩვენებს, არცთუ მცირეა იმ მოსწავლეების და სკოლის თანამშრომლების ხვედრითი წილი, ვინც ძალადობად არ მიიჩნევს ფსიქოლოგიური ძალადობის ამა თუ იმ აშკარა ფორმებს(იხ. გრაფიკი N7).

გრაფიკი N7



სკოლებში უცხო არ არის დისკრიმინაციული გამოვლინებები ეროვნების, რელიგიური აღმსარებლობის, არაპრესტიჟულ უბანში ცხოვრების, დაბალი/მაღალი აკადემიური მოსწრების, ჩაცმულობის და აქსესუარების ტარების და ა.შ. გამო[11]. მოსწავლეების და სკოლის თანამშრომლების ნაწილის აზრით, მოსწავლის დამცირება ან სხვადასხვა ნიშნით ჩაგვრა არ არის ძალადობა.

გრაფიკი N8



2.3. სკოლის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული ძალადობა

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, ბავშვის ფიზიკური დასჯა და მის მიმართ სხეულებრივი დასჯის გამოყენება აკრძალულია. მნიშვნელოვანია კონვენციის მონაწილე წევრ ქვეყნებში აღნიშნული პრინციპის თანაბრად უზრუნველყოფა და ამისათვის გამართული საკანონმდებლო ბაზისა და აღსრულების მექანიზმების ფუნქციონირება. მიუხედავად მსგავსი ვალდებულებისა, საქართველოში ბავშვთა მიმართ სხეულებრივი სასჯელების გამოყენების საკითხი პრობლემურია როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკის დონეზე.

საჯარო სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხო, ეფექტიანი, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას. ამავე მუხლის მე-17 ნაწილის თანახმად, სკოლის დირექტორი ვალდებულია შეინარჩუნოს სიმშვიდე კონფლიქტურ სიტუაციებში, მოისმინოს დაპირისპირებულ მხარეთა აზრი და მიიღოს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება, ხოლო მე-18 ნაწილის თანახმად, სკოლის დირექტორი არ აყენებს მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირს რაიმე სახის შეურაცხყოფას და არ ახდენს მათზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზეწოლას. მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრულია პედაგოგის მხრიდან მოსწავლესთან ურთიერთობის კრიტერიუმები. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აკრძალულია პედაგოგის მხრიდან მოსწავლის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა და ფსიქოლოგიური ზეწოლა[12].

11 ამგვარ დამოკიდებულებაზე მიუთითებს მოსწავლეთა მეოთხედი.

12 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2015-2016 და 2016-2017 სასწავლო წლებში სკოლის თანამშრომლის მხრიდან მოსწავლის მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტზე მოკვლევა

მონიტორინგის პროცესში, 83 ფოკუს ჯგუფიდან 78-ში ბავშვებმა აღნიშნეს, რომ მათ მიმართ ადგილი აქვს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ძალადობას. მათივე თქმით, ეს მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეთა არასასურველ ქცევაზე რეაგირების გავრცელებული ფორმაა. 5 ფოკუს ჯგუფში ბავშვებმა მხოლოდ ფსიქოლოგიურ ძალადობაზე ისაუბრეს. მათ აღნიშნეს, რომ მასწავლებლების მხრიდან ფიზიკური ან ვერბალური სახის ძალადობრივი რეაგირება უმეტესად მაშინ ხდება, როდესაც წესებს ბიჭები არღვევენ. ბიჭები და გოგონები ადასტურებენ, რომ ბიჭები უფრო მკაცრად ისჯებიან.

მოსწავლეების მიერ უფროსების მხრიდან მათდამი დამამცირებელი მიმართვის დასახელებული ფორმებია: „დებილო!“, „სულელო“, „უჭკუო“, „დაუნო“ „ლაწირაკო“, „უტვინოებო, ბატებო, ჩლუნგებო“, „სახედრებო“, „თახსირშვილებო“, „ნუ წკავწკავებთ ძაღლებივით“, „დედა ნახე, მამა ნახე...“, „თქვენ ყველანი ციხეში ამოლპებით“, „ეშმაკსაც წაუღიხართ“,„ოჯახში არ იზრდები?!“, „ჩემი შვილი რომ იყო, საჭმელს არ გაჭმევდი“, „შენი მშობლის ადგილზე სახლიდან არ გამოგიშვებდი“, „ტყვილა ცვითავ ტანსაცმელს“, „სისხლი გაგიშრათ თქვენ“, „მათხოვრებო“, „დეგენერატებო“, „საღორეში იზრდებით“,„წადით და დებილ დედებს უთხარით ყველაფერი“.

ბავშვები საუბრობენ ფიზიკური ძალადობის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა ყურის აწევა, თმის მოწიწკნა/მოქაჩვა, პწკენა, ხელით შეხება/დარტყმა, მოსწავლის ფეხზე და კუთხეში დაყენება, ბეჭდიანი ხელით დარტყმა, სახაზავის ან ჯოხის დარტყმა, წიგნის ჩარტყმა, პირადი ნივთის დაზიანება, გარდა ამისა, დასვენებაზე საკლასო ოთახში დატოვება. მათი თქმით, ასეთი რეაგირება შეიძლება მოჰყვეს გაკვეთილზე გადალაპარაკებას, ხმაურს, გაკვეთილზე დაგვიანებას, დავალების შეუსრულებლობას და სხვა დისციპლინურ დარღვევებს. მაგალითად, ბავშვებმა ორი ასეთი შემთხვევა გაიხსენეს: „მასწავლებელმა მოსწავლეს ყური ისე აუწია, რომ სისხლი წამოუვიდა. მერე ამავე მოსწავლეს ოთხი ფუნთუშა უყიდა, არავისთვის რომ არ მოეყოლა ეს ამბავი. მეორედ, მსგავსი შემთხვევის დროს, პედაგოგმა მოსწავლეს 10 ქულა დაუწერა“. „მოსწავლემ გაკვეთილის მსვლელობის დროს ქაღალდი ისროლა. ამის გამო მასწავლებელმა მას ის ქაღალდის ნაგლეჯი პირში ჩაადებინა“.

ბავშვებმა გაიხსენეს შემთხვევებიც, როდესაც მოსწავლის სიტყვიერი დამცირება/დაცინვა პედაგოგის მხრიდან მის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმა იყო და არა რეაგირება მოსწავლის არასწორ ქცევაზე. „გაჭყლეტილ ბაყაყს გავხარ“, „სპილოს ყურები გაქვს“, „მე რამდენჯერმე მითხრა მასწავლებელმა, შენს კლასელებთან შედარებით რა პატარა ხარო და მთელმა კლასმა გაიცინა“, „ერთი მასწავლებელია და ვინც ვერ სწავლობს, ყველას დასცინის, მაგალითად, იცის, რომ ბავშვმა კარგად არ იცის კითხვა და სიცილით ამბობს იმაზე - ბავშვებო, ახლა ის წაიკითხავს ყველაზე კარგადო“.

აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფებში, ცალკეულ შემთხვევებში გამოვლინდა პედაგოგების მხრიდან არასათანადო დამოკიდებულება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის მოსწავლეთა მიმართ. ბავშვები ყვებიან, რომ ისტორიის მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებამდე მთელ კლასს ალოცებს. კლასში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებიც არიან, რომლებიც ლოცვის დროს ფეხზე უნდა ადგნენ. მეორე შემთხვევაში, ფოკუს ჯგუფში მონაწილე ბავშვებში მოხვდნენ შშმ და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეები. კლასში მყოფმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ერთი მოსწავლე „ინკლუზიური“ იყო, მეორე კი -„არაქართულენოვანი“. ისინი არ უნდა შეგვერჩია, რადგან ვერაფერს გვეტყოდნენ. ამ მოსწავლეებმა თავი შერცხვენილად იგრძნეს.

რაც შეეხება ინტერვიუებს დირექციის წარმომადგენლებსა და მანდატურებთან, რიგ შემთხვევებში გამოიკვეთა დისკრიმინაციული მიდგომები ზოგიერთი არასრულწლოვნის, მაგალითად, დაუნის სინდრომის მქონე, მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარის ან სოციალურად დაუცველი ბავშვის მიმართ. სკოლის დირექტორი დაუნის სინდრომის მქონე არასრულწლოვანზე: „ერთი სული მქონდა, როდის გავიდოდა“. განსაკუთრებით უარყოფითი დამოკიდებულება გამოიკვეთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარების მიმართ. ერთ-ერთი დირექტორის თქმით, ამ სახლის აღსაზრდელები მის სკოლაში არ ირიცხებიან და არც აქვს ამის სურვილი, რადგან ისინი

განხორციელდა 32 საჯარო სკოლაში (კორესპონდენცია N MES 9 17 00901831); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2016-2017 სასწავლო წელს დისციპლინური წარმოება დაიწყო თანამშრომლის მხრიდან მოსწავლის მიმართ სავარაუდო ძალადობის 76 შემთხვევაზე (კორესპონდენცია N MES 7 17 00864345).

უარყოფით ზეგავლენას მოახდენენ სხვა ბავშვებზე. სხვა დირექტორი ერთ-ერთ მოსწავლეზე, სახალხო დამცველის წარმომადგენლების თანდასწრებით: „მიეცით ამ გაჭირვებულს კალამი, მაინც სოციალურად დაუცველია“.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემებით, მოსწავლეების ინფორმაციით, მათ მიმართ ძალადობრივ დამოკიდებულებას ყველაზე ხშირად მიმართავს დამრიგებელი და საგნის მასწავლებელი, ხოლო რაც შეეხება სკოლის ადმინისტრაციასა და მანდატურს, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის სხვადასხვა ფორმების გამოყენების პროცენტული მაჩვენებლები გაცილებით მცირეა, არ უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც ძალადობის ამა თუ იმ ფორმის გამოყენების შესახებ მიუთითებენ: მაგალითად, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელის მიერ მოსწავლის ცემაზე საუბრობს 135 რესპონდენტი, თავში წამორტყმაზე - 240; ასევე, მანდატურის მიერ მოსწავლის ცემაზე მიუთითა 40-მა რესპონდენტმა, თავში წამორტყმაზე - 84-მა, ყურის აწევაზე - 89 რესპონდენტმა. მოსწავლეების მიმართ გამოყენებული ძალადობის სხვადასხვა ფორმებიდან, როგორც უკვე აღინიშნა, ცალსახად გამოკვეთილია ყვირილი, ასევე შედარებით ხშირად იყო დასახელებული შემდეგი ფორმები(იხ. გრაფიკი N9):

გრაფიკი N9

მოსწავლეთა მიმართ გამოყენებული ძალადობის ფორმები



მანდატურის სამსახურიანი, მცირე ან დიდკონტინგენტიანი, მაღალმთიან რეგიონში/ბარში მდებარე სკოლების ანალიზისას მხოლოდ ნიუანსური განსხვავებები გამოვლინდა შემდეგი ტენდენციების სახით: დიდკონტინგენტიან სკოლებში და იმ სკოლებში, სადაც მანდატურის სამსახური არსებობს, შედარებით მეტი მოსწავლე მიუთითებს ადმინისტრაციის, დამრიგებლის, საგნის მასწავლებლის და/ან მანდატურის მიერ გამოვლენილი ფსიქოლოგიური და/ან ფიზიკური ძალადობის ფაქტების შესახებ. ეს ფაქტი შესაძლოა იმითაც აიხსნას, რომ რადგან დიდკონტინგენტიან სკოლებში მეტი მოსწავლეა, ძალადობის ფაქტები და შესაბამისად, ძალადობის ჩამდენთა რიცხვიც მეტია; მანდატურის სამსახური კი ძირითადად დიდკონტინგენტიან სკოლებში ფუნქციონირებს.

სკოლის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მათი კოლეგების მხრიდან მოსწავლეების მიმართ რაიმე სახის ძალადობის ფაქტებს „ხშირად“ ან „თითქმის ყოველდღე“ ერთეულ შემთხვევებში შესწრებიან. შესაბამისად, მაღალია პასუხის ვარიანტის – „არასოდეს“ - ხვედრითი წილი (72-96% თითოეული ქმედების მიმართ). შედარებით ხშირად გაიცა პასუხი - „ზოგჯერ“ (მაჩვენებლები ძირითადად ვარირებს 5-22%-ის ფარგლებში) ყველაზე იშვიათად ახსენებდნენ ფულის გამოძალვის ფაქტს (27 რესპონდენტი, მითითებული სიხშირეების გათვალისწინებით) და დაცინვა/შევიწროება ეროვნების/ რელიგიური აღმსარებლობის გამო (სულ 53 რესპონდენტი).

სკოლის თანამშრომლები მოსწავლეების მიმართ ძალადობის ფაქტებზე მოსწავლეებთან შედარებით უფრო „მსუბუქად“ საუბრობენ, ამასთან, მათი პასუხები აჩვენებს, რომ მოსწავლეების ჩაგვრა/დამცირება/ძალადობა მარტო სკოლაში კი არა, სკოლის გარეთაც (ოჯახი და სხვ.[13]) ხდება. შემთხვევათა მხოლოდ 15.7%-ში (267 შემთხვევა) ამბობენ სკოლის თანამშრომლები, რომ თავიანთი პროფესიული საქმიანობის დროს ბავშვის მიმართ ძალადობის რაიმე ფორმა არ შეუნიშნავთ. შემთხვევათა 2.4%–ში პასუხს თავი აარიდეს. დანარჩენ შემთხვევებში მეტ-ნაკლები სიხშირით უთითებდნენ, რომ ბავშვები გამხდარან ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

გრაფიკი N10



სკოლის თანამშრომლების ის ნაწილიც, ვინც სკოლაში ბულინგის საფრთხის არარსებობაზე ან მინიმალურ საფრთხეზე საუბრობდა, მაინც მიუთითებს, რომ პროფესიული საქმიანობისას შეუნიშნავს ბავშვის ჩაგვრა თანატოლების მიერ[14]. ბავშვის ჩაგვრაზე, თანატოლების მიერ, ასევე საუბრობენ

13 სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციისგან განსხვავებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, 2016-2017 სასწავლო წელს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთა მხრიდან შევსებულ, სოციალური მომსახურების სააგენტოში გადამისამართების ფორმებზე დაყრდნობით, გადამისამართდა ძალადობის/სავარაუდო ძალადობის 271 შემთხვევა. დირექტორმა-დირექტორის მოადგილემ სოციალური მომსახურების სააგენტოში გადაამისამართეს 252 შემთხვევა, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროში - 88 (კორესპონდენცია MES 7 17 00864345).

14 134 შემთხვევა - მათთან, ვინც აღნიშნა, რომ ბულინგის საფრთხე სკოლაში არ არსებობს; 207 შემთხვევა მათთან, ვინც აღნიშნა, რომ ბულინგის საფრთხე სკოლაში მინიმალურია - შეაფასა „2“ ქულით;

სკოლის ის თანამშრომლებიც, ვინც ამბობდა, რომ სკოლაში კრიმინალური გარჩევების საფრთხე არ არსებობს ან მინიმალურია[15] .

2.4. მოსწავლეებს შორის ძალადობა

64 ფოკუს ჯგუფში მოსწავლეები საუბრობდნენ ბულინგის სხვადასხვა ფორმებზე, როგორც თანატოლების, ისე უფროსკლასელების მხრიდან[16].

თანატოლებს შორის დაცინვა, მეტსახელით მოხსენიება პრობლემად იშვიათად აღიქმება. მოსწავლეთა საუბრიდან ცხადი ხდება, რომ მეტსახელის შერქმევა ნორმალიზებულია. ვერბალური ბულინგი ხშირია გარეგნობისა და ფიზიკური მონაცემების, სოციალური მდგომარეობის, ასევე, აკადემიური მოსწრების გამო: „თუ ბავშვი მსუქანია, მას დასცინიან,“„ერთ მოსწავლეს, რომელსაც არ შეუძლია სწრაფად სირბილი, ბავშვები სთავაზობენ სირბილში შეჯიბრს, ვითომ ნელა დარბიან, მერე მაინც უსწრებენ და დასცინიან“; „ერთხელ ბავშვი დედამისის ქუსლიანი ფეხსაცმელებით მივიდა სკოლაში, რადგან სხვა არ გააჩნდა, რის გამოც ყველამ დასცინა. ამის შემდეგ ბავშვს ერთი კვირა არ უვლია სკოლაში“ და ა.შ.

გარდა ამისა, მოსწავლეებმა ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობისას ფიზიკური ბულინგის არაერთი შემთხვევაც დაასახელეს: ჩხუბი, ფეხის დადება, თმის მოქაჩვა, ხელის გადატრიალება, დაჯახება, „წაპორწიალება“, პირადი ნივთების განზრახ დაზიანება ან წართმევა, უმცროსკლასელების ფანჯრიდან გადაკიდება, ფულის გამოძალვა ტუალეტში შეშვების საფასურად, სიგარეტის მოწევის იძულება. გავრცელებულია უფროსკლასელების მიერ სკოლის ტუალეტთან პატარა ბავშვების „გამოჭერა“ და მათი ჩხუბში ჩართვა.

ამ ყველაფრის გამო მოსწავლეებს მიუმართავთ მასწავლებლისათვის, თუმცა ბავშვები ხშირად იმასაც ამბობენ, რომ მიმართვას „აზრი არ აქვს“. მათი თქმით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი თავადაც შესწრებია ამგვარ ფაქტებს, მაგრამ მიუხედავად არაერთი შენიშვნისა, ბულერებს ქცევა არ შეუცვლიათ.

ფოკუს ჯგუფებში მუშაობისას გამოვლინდა, რომ კიბერ ბულინგის შემთხვევები საერთოდ არ აღიქმება ძალადობად. ამგვარი ძალადობის იდენტიფიცირების დონე ძალზე დაბალია როგორც უფროსებში, ისე მოსწავლეებში. ერთ-ერთ ფოკუს ჯგუფში მოსწავლეებმა კიბერ ბულინგის შესახებაც ისაუბრეს და თქვეს, რომ იყო სოციალური ქსელით მათი მისამართით შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელების ფაქტები და რომ მათი მშობლები ესაუბრნენ მანდატურებსაც, მაგრამ საპასუხოდ, მათ ორივე მხარე დაადანაშაულეს და მშობლებს განუცხადეს, რომ ასეთ დროს ისინი ვერაფერს მოიმოქმედებდნენ.

გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შორის, დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიმართ, არასათანადოა. მოსწავლეები იხსენებენ შემდეგ ფაქტებს: „ჩვენთან ერთი ინვალიდი ბავშვია და ყველა თვლის, რომ ის არაფერს წარმოადგენს, დასცინიან და თან ყველაფერს მას ავალებენ - მიდი, მიდი ბურთი მომიტანე, ეს გააკეთე, ის გააკეთე. იმ ბავშვს უხარია ყურადღებას რომ აქცევენ, მაგრამ ესენი მასხრად იგდებენ და იყენებენ“; „ერთ გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვს ყველა „ტილიანს“ ეძახის, ამ ბავშვს ჯოხით გამოეკიდებიან ხოლმე და მერე იმას ეშინია და ქვებს ისვრის“; „ჩვენს სკოლაში ერთი „ავადმყოფი“ დადის, რომელსაც ყველა დასცინის“.

15 401 შემთხვევა - მათთან, ვინც აღნიშნა, რომ ბულინგის საფრთხე სკოლაში არ არსებობს; 81 შემთხვევა მათთან, ვინც აღნიშნა, რომ ბულინგის საფრთხე სკოლაში მინიმალურია;

16 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2016-2017 სასწავლო წელს დისციპლინური წარმოება დაიწყო მოსწავლეთა შორის სავარაუდო ძალადობის 305 შემთხვევაზე. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში 2016-2017 სასწავლო წელს კი გადამისამართდა 1561, ხოლო თვითდინებით მიემართა 380(კორესპონდენცია N MES 7 17 00864345).

ფოკუს ჯგუფებში მოსწავლეებმა განსხვავებული სარწმუნოების ან/და ეროვნების გამო ბავშვების დაცინვის შემთხვევებზეც ისაუბრეს. ერთ–ერთი ფოკუს ჯგუფის მონაწილემ აღნიშნა, რომ ის რამდენიმე წელია, რაც საქართველოში ცხოვრობს და უჭირს ქართულ ენაზე საუბარი, რის გამოც თანატოლებს მისთვის არაერთხელ დაუცინიათ; მეორე უცხოელ მოსწავლეს, რომელმაც მოკლე დროში გამართულად ისწავლა ქართული, ასევე დასცინიან თანაკლასელები, ოღონდ ამჯერად - უცხოური აქცენტის გამო.

სამი სკოლის არასრულწლოვნებმა ისაუბრეს ბავშვებს შორის გენდერული ნიშნით ბულინგის სიხშირეზე. ამ მხრივ განსაკუთრებით დაბალია ცნობიერების დონე როგორც არასრულწლოვნებში, ისე პედაგოგებში. ხშირად სწორედ პედაგოგები უწყობენ ხელს ბავშვებში სტერეოტიპული აზროვნების ჩამოყალიბებას. ერთ–ერთმა არასრულწლოვანმა აღნიშნა, რომ მას ხშირად უწევს კამათი გენდერულ საკითხებზე. ის ცდილობს, დაიცვას თავისი პოზიცია და ლგბტ ადამიანები, თუმცა ხშირად ამის გამო თავადაც ხდება აგრესიული დამოკიდებულების მსხვერპლი.

ყოველივე ზემოთქმულს ამყარებს მონიტორინგის რაოდენობრივი კველევის შედეგები. კერძოდ, გამოვლინდა მოსწავლეთა გარკვეული კატეგორია, რომელიც აღიარებს, რომ მართლაც სჩადიოდა სხვადასხვა სახის ძალადობრივ ქმედებებს თანაკლასელების და/ან თანასკოლელების მიმართ. გამოკითხულთაგან ყველაზე ხშირად სახელდება გართობის მიზნით პირადი ნივთების დამალვა - 111 მოსწავლე. ძალადობრივ ქმედებათაგან მოსწავლეები გაცილებით ხშირად („ზოგჯერ“) მიმართავენ შემდეგს: დამამცირებელი მეტსახელით მიმართვა (34.1%), უხეში კომენტარების გაკეთება (28.6%), დაცინვა (27.8%), გართობის მიზნით პირადი ნივთების დამალვა (38.5%), ხელის დარტყმა/წიხლის ჩარტყმა (20.8%), ძალით შეჯახება (19.9%).

ძალადობის ფაქტები, მოსწავლეების თქმით, ძირითადად ხდებოდა საკლასო ოთახში (შემთხვევათა 60.8%) ან სკოლის გარეთ (შემთხვევათა 43.4%). ამასთანავე, მაღალია ძალადობის ფაქტების ხვედრითი წილი სკოლის ეზოში (შემთხვევათა 31.5%) და სკოლის დერეფანში, სადაც არ დგას კამერები (შემთხვევათა 27.1%). თუმცა, ძალადობის 10 შემთხვევა იყო სკოლის დერეფნის იმ ნაწილშიც კი, სადაც კამერებია დამონტაჟებული (იხ. გრაფიკი N11).

გრაფიკი N11

სად ხორციელდებოდა აღნიშნული შემთხვევები ბოლო 1 წლის მანძილზე ? (მოსწავლეები)



მოსწავლეები მიუთითებენ, რომ ძალადობის შემთხვევები ხდება როგორც დილით, გაკვეთილების დაწყებამდე, ასევე შესვენებისას და გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, თუმცა უფრო ხშირად - გაკვეთილების დასრულების შემდეგ (ზოგჯერ - 43%; ხშირად - 17.4%) (იხ. გრაფიკი N12).

გრაფიკი N12

ბოლო 1 წლის მანძილზე ყველაზე ხშირად როდის ხორციელდებოდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევები?



მოსწავლეებს უჭირთ საუბარი მათ მიმართ ჩადენილ ძალადობაზე. მოსწავლეთა იმ მცირე ნაწილმა, ვინც აღიარა, რომ პირადად მასზე იძალადეს, თქვეს, რომ მიმართეს დამამცირებელი მეტსახელით „ხშირად“ (90 მოსწავლე), უხეშ კომენტარებს უკეთებდნენ „ხშირად“ (150 მოსწავლე), ვითომ გართობის მიზნით დაუმალეს პირადი ნივთები „ხშირად“ (252 მოსწავლე, გაუვრცელეს ჭორები „ხშირად“ (124 მოსწავლე). სიტუაცია იცვლება, როდესაც მათი თანაკლასელების/თანასკოლელების მიმართ ჩადენილ ამგვარ ძალადობრივ ფაქტებზე საუბრობენ. ამ შემთხვევაში იზრდება ძალადობის ფორმებისა და სიხშირის დასახელების ხვედრითი წილი.

მოსწავლეების მიმართ თანატოლების მიერ ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის სხვადასხვა სახეების გამოყენების სიხშირეზე უნდა ესაუბრათ სკოლის თანამშრომლებსაც (მოსწავლეების შეფასებული ანალოგიური ჩამონათვალის საშუალებით). სკოლის თანამშრომლების პასუხები განსხვავდება მოსწავლეების პასუხებისგან. კერძოდ, პირველ რიგში თვალში საცემია, რომ სკოლის თანამშრომლებთან ძალადობის ფაქტების სიხშირის განსაზღვრისას, თითქმის ყველგან ცალსახად გამოკვეთილია პასუხის ვარიანტი „ზოგჯერ“. რამდენიმე (ძირითადად, ფსიქოლოგიური ძალადობის) შემთხვევაში, მისი ხვედრითი წილი ახლოსაა ან აჭარბებს 50%-ს (მაგ.: მიმართეს დამამცირებელი მეტსახელით (60%), უხეშ კომენტარებს უკეთებენ (51.5%), დასცინიან (51.5%), ფიზიკურად შეეხენ (47.4%), ვითომ გართობის მიზნით დაუმალეს პირადი ნივთები (58.4%).

სკოლის თანამშრომლების აზრით, ყველაზე ნაკლებია (ე.ი. ყველაზე მეტი რესპონდენტი პასუხობს „არასოდეს“) ძალადობის შემდეგი ფაქტები: დასცინეს/შეავიწროვეს ეროვნების გამო („არასოდეს“

– 88%), ფარულად გადაუღეს ფოტო და გამოაქვეყნეს სოციალურ ქსელში („არასოდეს“ – 80.2%); უგზავნიან შეურაცხმყოფელ SMS-ებს („არასოდეს“ –75.8%).

2.5. მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომის და ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები

მონიტორინგის შედეგების თანახმად, სკოლებში არსებული დისციპლინური სახდელები და ძალადობაზე რეაგირების მექანიზმი არ არის ორიენტირებული ბავშვის, როგორც ძალადობის მსხვერპლის და არასრულწლოვანი მოძალადის საუკეთესო ინტერესებსა და რეაბილიტაციაზე. გამოვლენილი ძალადობის შემთხვევაშიც კი, სკოლებს არა აქვთ შემუშავებული და დადგენილი ერთიანი ხედვა, თუ როგორ მართონ პროცესი. შესაბამისად, მათი მხრიდან ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებაც არაერთგვაროვანია. მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის ზომად საგაკვეთილო პროცესიდან დათხოვნა კანონმდებლობის დონეზე არ არის სრულად მოწესრიგებული და ბავშვის განათლების უფლების დარღვევის რისკს აჩენს. დისციპლინური სახდელის ამ ფორმით გამოყენებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ისეთი უარყოფითი შედეგები, როგორიცაა სასწავლო პროცესში ჩამორჩენა, სწავლისადმი ინტერესის დაკარგვა და სხვა.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და საჯარო სკოლების შინაგანაწესები არ უზრუნველყოფენ მოსწავლის განათლების უფლების დაცვის გარანტიებს მაშინ, როდესაც მოსწავლეს სკოლიდან 5 დღემდე ან 5–10 დღის ვადით ითხოვენ. ასეთ შემთხვევებში სკოლის როლი არ იკვეთება და არც ის განიმარტება,, თუ რა მიზანს ემსახურება მსგავსი ტიპის დისციპლინური სახდელი და რამდენად არის ის პროპორციული, ადეკვატური და შედეგზე ორიენტირებული.

ხშირ შემთხვევაში, სკოლას არ აქვს მოსწავლეთა არასასურველ ქცევაზე სწორი რეაგირების საკმარისი კომპეტენცია. ფოკუს ჯგუფის დროს გამოკვეთილი შემთხვევებისა და მათზე რეაგირების პრაქტიკა გვავარაუდებინებს, რომ სკოლაში არსებული წესები არ არის ხელმისაწვდომი და გასაგები ყველა მოსწავლისათვის. ერთი და იგივე ქცევა შესაძლოა არასასურველად კვალიფიცირდეს და რეაგირება იმის მიხედვით მოჰყვეს, თუ რომელი მოსწავლე არღვევს წესს და რომელი მასწავლებელი შეესწრო მომხდარ ფაქტს. არასასურველ ქცევაზე რეაგირებას ძირითადად მუქარისა და „დაშინების“ ფორმა აქვს. **აღნიშნული პრაქტიკა შესაძლოა ეფექტიანი იყოს ხანმოკლე პერიოდისთვის, რადგან „აჩერებს“ მოსწავლეებს და უბიძგებს მათ წესების დაცვისკენ, ხანგრძლივ პერიოდში კი ზრდის რისკს, რომ მოსწავლეები დაიცავენ მხოლოდ იმ წესებს, რომელთა დარღვევასაც სასჯელი მოჰყვება. დაშინების აღნიშნული პრაქტიკა ვერ კვალიფიცირდება როგორც გაფრთხილება, არაჯანსაღია და აფერხებს მორალური განვითარების შესაძლებლობას, ამდენად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება.**

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაადგინა მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესი, თუმცა ცალკე ნორმატიული აქტით არ არის მოწესრიგებული მოსწავლეთა დისციპლინური წარმოების წესი, რაც დისციპლინური წარმოების პროცესში არასრულწლოვნების უფლებრივი მდგომარეობის დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს უზრუნველყოფდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით ქართული კანონმდებლობისაგან, ევროპული სკოლების ზოგადი წესების მიხედვით, სკოლაში უნდა არსებობდეს ორი დისციპლინური კომისია, ერთი დაწყებითი კლასებისა და მეორე საბაზისოსი[17].

რა საშუალებებს/გზებს მიმართავენ სკოლის თანამშრომლები მოსწავლეების მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში?

17 General Rules of the European Schools. Chapter 6, art.44, para. 1, p.26

იმ შიდა დოკუმენტებიდან, რეგულაციებიდან თუ სხვა ღონისძიებებიდან, რომლებსაც მიმართავენ მოსწავლეთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში, სკოლის თანამშრომლები ყველაზე ხშირად ასახელებენ სკოლის შინაგანაწესს/წესდებას, ყველაზე ნაკლებად კი მიმართავენ რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს, ისევე როგორც ძალადობის შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებებს (საუბრები, ტრენინგები და ა.შ.). (იხ. გრაფიკი N13).

გრაფიკი N13



ძალადობის გამოვლენის და რეაგირების საკითხებზე კითხვარები შეავსეს სკოლის მოსწავლეებმაც, რომელთა ინფორმაციითაც, სკოლაში ძალადობის შემთხვევები აღიკვეთება და კონფლიქტური სიტუაციები რეგულირდება: ყველაზე ხშირად - უფროსების მიერ მოძალადისა თუ კონფლიქტის ინიციატორის გაფრთხილების გზით; ყველაზე იშვიათად კი - თანატოლების მიერ დაზარალებულის გარიყვით (იხ. გრაფიკი N 14).

გრაფიკი N14



ძალადობის გამოვლენის და შემდგომი რეაგირების საკითხში უმთავრესი როლი მასწავლებელს აკისრია, თუმცა ინტერვიუირების პროცესში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც, მანდატურების თქმით, პედაგოგები, დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგომის გამო, ხშირად უარს აცხადებენ მანდატურებთან თანამშრომლობაზე. გამოვლინდა დირექტორის მხრიდან მანდატურების საქმიანობისთვის ხელის შეშლის ფაქტებიც. მანდატურების თქმით, სკოლაში არსებულ ძალადობრივ ფაქტებთან დაკავშირებით, ისინი კი აწვდიან ინფორმაციას სკოლის დირექტორს, თუმცა ამას ხშირად რეაგირება არ მოჰყვება. ზოგიერთი მათგანის თქმით, დირექტორი ზოგჯერ ბავშვებსაც კი მოუწოდებს, არ შეატყობინონ მანდატურებს მსგავსი ფაქტების შესახებ, ან/და თავად მანდატურებზე ცდილობს ზეგავლენის მოხდენას, ოქმი რომ არ შეადგინონ. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი დაპირისპირების დროს, როგორც მანდატურები იხსენებენ, სკოლის დირექტორმა მათ უთხრა, რომ ისინი ვერაფერს დაამტკიცებდნენ, მტკიცებულების არარსებობის გამო. „ვცემე და ყოველთვის ვცემთ“, „ვცემ და აბა მოვიდეს და გითხრას“, „ფაქტი არა გაქვთ და ვერაფერს მიზამთ“ - ამბობდა დირექტორი.

მანდატურების მიერ ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და მათზე რეაგირების გამო, სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი ღიად გამოხატავს უკმაყოფილებას; როგორც მანდატურები აღწერენ, მასწავლებლების პოზიციას იზიარებს სკოლის დირექტორიც. გაკვეთილიდან გაძევება ხშირად მანდატურის ინფორმირების გარეშე ხდება; ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა ბავშვი უყურადღებოდ დარჩეს. მასწავლებელი, მდგომარეობის გამწვავებამდე არ ატყობინებს მანდატურს ბავშვებს შორის კონფლიქტის შესახებ, რაც აფერხებს მანდატურის მხრიდან ეფექტიან და დროულ რეაგირებას.

ამავე სკოლის მანდატურების გადმოცემით, დისციპლინის უგულებელყოფა როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებლების მხრიდან, სასკოლო ცხოვრების ყოველდღიურობის ნაწილია. მათივე გადმოცემით, დისციპლინური დარღვევებიდან აღსანიშნავია აკრძალული ნივთების, მაგალითად, ბასრი მჭრელი საგნების სკოლის ტერიტორიაზე შემოტანაც, რაც ხშირ შემთხვევაში იგნორირებულია სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მიერ. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა პირადი გასინჯვის წესის მიხედვით, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, დაუშვებელია მოსწავლის პირადი გასინჯვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულებები მიუთითებს კონკრეტულ პირზე და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირადი გასინჯვა გამოავლენს სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომას. მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ ბუნდოვანია, იცავენ თუ არა რეალურად ასეთ შემთხვევებში კანონით განსაზღვრულ პროცედურულ ნორმებს, მათ შორის, აფრთხილებენ თუ არა წინასწარ არასრულწლოვანს/არასრულწლოვნებს და არის თუ არა დასაბუთებული მოსწავლის/მოსწავლეთა პირადი გასინჯვა.

რა საშუალებებს/გზებს მიმართავენ მოსწავლეები მათ მიმართ ჩადენილი ძალადობის/უფლებების დარღვევის შემთხვევაში?

მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ მათ არ უსმენენ, აზრს არავინ ეკითხება, და თითქმის არასდროს ითვალისწინებენ. როგორც ჩანს, საკუთარი აზრის გამოთქმას პედაგოგები მოსწავლეს უზრდელობად უთვლიან. ამის გამო, არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები თავადაც აგრესიულად იქცევიან. მაგალითად, ერთ–ერთ ფოკუს ჯგუფზე ბავშვებმა თქვეს, **„იმისთვის, რათა ჩვენთვის მოესმინათ, მერხები და დაფები ამოვაყირავეთ, რომ ხმაურზე მაინც შემოსულიყო ვინმე და ყურადღება მოექციათო".**

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა 89% ამბობს, რომ დასახმარებლად არავის მიმართავს, რადგან ამან შეიძლება ისედაც არსებული კონფლიქტური მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავოს. თუ მოძალადეები თანატოლები ან უფროსკლასელები არიან, ბავშვები ამბობენ, რომ ვინმესთვის დახმარების თხოვნით მიმართვამ შესაძლოა მათი დაცინვა ან მუქარაც გამოიწვიოს, როგორც „ჩამშვების" ან „დამბეზღებლისა"[18]. ამ აზრს განსაკუთრებით იზიარებდნენ ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ბიჭები, მიუხედავად იმისა, რომ აღწერილი ძალადობრივი შემთხვევების უმრავლესობა სწორედ ბიჭებს ეხება. მათ შეუძლიათ დახმარებისათვის მიმართონ დამრიგებელს ან მშობელს, თუმცა ურჩევნიათ, არაფერი თქვან. ბავშვების თქმით, უფროსები, მათ შორის მშობლები, არ უსმენენ, არ აძლევენ მათ იმის საშულებას, აუხსნან, რა მოხდა, თავი იმართლონ და ა.შ. სავარაუდოა, რომ უფროსები (მასწავლებელი, დირექცია, მშობელი) არ მიიჩნევენ საჭიროდ, მოისმინონ შედარებით მცირე ასაკის ბავშვების აზრი და სცადონ მათი პოზიციის, საჭიროებების გარკვევა; ერთი მხრივ, მათ მიერ ბავშვის საჭიროებების, აზრის უგულებელყოფა და მეორე მხრივ, უფროსკლასელების მიერ მათი ჩაგვრის გაძლიერების შიში, უბიძგებს დაბალი კლასის მოსწავლეებს, გაჩუმდნენ და არ ითხოვონ დახმარება.

რაც შეეხება მოსწავლეების მიმართ პედაგოგების მხრიდან ჩადენილი ძალადობის შემთხვევების გაცხადებას, მოსწავლეები ამბობენ, რომ არ შეუძლიათ თავისუფლად მიმართონ დამრიგებელს, მასწავლებელსა თუ დირექციას, რადგან მაინც არ დაუჯერებენ და მიმართვამ კი, შესაძლოა, გამოიწვიოს იმ პედაგოგის გაღიზიანება, ვის შესახებაც მიმართეს. მოსწავლეებს ასევე არ აქვთ ინფორმაცია, ვის შეიძლება მიმართონ დასახმარებლად საგანმანათლებლო დაწესებულების გარეთ სხვადასხვა სახის ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში. მონაწილეების მხოლოდ 11% მიიჩნევს, რომ დახმარების მისაღებად შეუძლიათ მიმართონ მშობელს, მასწავლებელს ან სკოლის მანდატურს, მაგრამ მათი თქმით, „ისეთი არაფერი ხდება", რომ ამის საჭიროება არსებობდეს.

ფოკუს ჯგუფების მეშვეობით მიღებული შედეგებისგან განსხვავებით, რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა შედარებით განსხვავებული სურათი აჩვენა, რადგან გასათვალისწინებელია, რომ სხვა

18 „ბავშვები მალავენ, რადგან მათ ემუქრებიან, თუ იტყვი, უარესი მოგივაო", „უფროსებს არ ვაგებინებთ, თვითონ ვაგვარებთ, როცა უფროსები ერევიან, კონფლიქტი ღრმავდება, მათ შორის მშობლებს შორის", „მეგობარს ვეუბნები", „მე ჩემი თავის იმედზე ვარ", „არავის ვეუბნები, არ მინდა სხვაც გავხვიო შარში", „ვერ ვეტყვი მასწავლებელს, მეტყვის, რა მოხდა, გეხუმრებიანო", „მშობლის გარდა ვერ ვეტყვი ვერავის, მაინც არაფერი შეიცვლება", მასწავლებლებიც კი „ჩამშვებს" დაგიძახებენ".

ასაკობრივი ჯგუფისთვის იყო განკუთვნილი[19]. კითხვაზე, ვის მიმართავენ, თუკი მოსწავლეებზე იძალადებენ როგორც უფროსები, ან თანატოლები, და დაირღვევა მათი უფლებები, გამოკითხული მოსწავლეები პასუხობენ, რომ დახმარებისთვის უფრო ხშირად მიმართავენ სხვადასხვა პირებს: უფროსების მიერ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მოსწავლეების დიდმა ნაწილმა თქვა, რომ მიმართავს კლასის დამრიგებელს, მშობელს და თანაკლასელს. თანატოლების მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში კი – პირველ რიგში თანაკლასელს და კლასის დამრიგებელს. ასევე შედარებით მაღალი ხვედრითი წილი აქვს საგნის მასწავლებელს, რომელსაც მოსწავლე ყველაზე მეტად ენდობა (იხ. გრაფიკი N 15).

გრაფიკი N15

თუ მოსწავლეების უფლებები ირღვევა უფროსების ან თანატოლების მიერ, ვის მიმართავენ დახმარების სათხოვნელად..(%)



რაოდენობრივ კვლევაში, კითხვას, რატომ არავის მიმართეს დახმარების სათხოვნელად, არ უპასუხა 149 მოსწავლემ. დანარჩენებმა უმთავრეს მიზეზად დაასახელეს პრობლემის პირადად მოგვარების მცდელობა (56.4%). ასევე შედარებით ხშირი იყო პასუხი - „აზრი არ აქვს, მაინც არაფერი შეიცვლება“ (13.4%). 12 შემთხვევაში მოსწავლე სკოლის თანამშრომლებთან პრობლემების შექმნას უფრთხის, ხოლო 11 შემთხვევაში - არავის ენდობა (იხ. გრაფიკი N16).

19 ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობდნენ მე-5, მე-6 და მე-7 კლასის მოსწავლეები, ხოლო კითხვარები შეავსეს მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებმა.

გრაფიკი N16



კითხვარების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის თანახმად, იმ მოსწავლეებს შორის, ვინც სკოლის დირექტორს, მანდატურს, დამრიგებელსა თუ საგნის იმ მასწავლებელს, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობა, თავისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართა, ყველაზე მეტი სიხშირით დასახელდა, რომ პრობლემა ნაწილობრივ გადაიჭრა (შემთხვევათა 39.4%). შემთხვევათა 23.2%-ში კი მოსწავლეებმა პრობლემების სრულად მოგვარებაზე მიუთითეს (იხ. გრაფიკი N17).

გრაფიკი N17



მონიტორინგის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ოჯახში გამოვლენილ ძალადობის ფაქტებზე სკოლებს არა აქვთ შემთხვევათა მართვის ერთგვაროვანი სტრატეგია. გაირკვა, რომ ოჯახში სავარაუდო ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, პრობლემაა ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების მიერ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისი განსაზღვრული ღონისძიებების გატარება – მიმართვა პასუხისმგებელი უწყებებისადმი. რამდენიმე სკოლის დირექტორის ინფორმაციით, ისინი ერიდებიან ადრეული ქორწინების ფაქტების შესახებ რომელიმე პასუხისმგებელ სტრუქტურაში შეტყობინების გადაგზავნას, რადგან ასეთ შემთხვევაში ოჯახი დაუპირისპირდება სკოლის თანამშრომლებს.

ასევე, რამდენიმე ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ რეგიონებში მოსწავლეები ოჯახის დასახმარებლად, სეზონურად ერთვებიან ხოლმე სასოფლო–სამეურნეო საქმიანობაში. ამ პერიოდში ბავშვები არ ესწრებიან სასწავლო პროცესს.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სკოლის რომელიმე თანამშრომელი აღმოაჩენს, რომ მოსწავლე მშობლის/ან მშობლების/ან კანონიერი წარმომადგენ-ლის მხრიდან ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობის ან უგულებელყოფის მსხვერპლია, პრობლემის მოგვარების ძირითადი ღონისძიება სკოლის ადმინისტრაციისა და მშობლის საქმის კურსში ჩაყენებაა, ანალოგიური ტენდენციები გამოვლინდა მანდატურის ინსტიტუტის მქონე, მცირე/ დიდკონტინგენტიანი, მაღალმთიან რეგიონში/ბარში მდებარე სკოლების ანალიზისას (იხ. გრაფიკი N18).

გრაფიკი N18



პასუხის ვარიანტში - „ვუკავშირდები შესაბამის სამსახურს“ - სკოლის თანამშრომლებმა მოიაზრეს შემდეგი უწყებები/პირები:

გრაფიკი N19



2.6. მოსწავლეების დამოკიდებულება ტოლერანტობისადმი

ტოლერანტობის ხარიხის შესაფასებლად, მოსწავლეებს კითხვარებში თავიანთი დამოკიდებულება უნდა გამოეხატათ ექვსი სხვადასხვა დებულების მიმართ: 1. ჩვენს სკოლაში ნებისმიერ დროს შეგვიძლია თამამად გამოვთქვათ საკუთარი აზრი, 2. ჩვენს სკოლაში ყველა თანასწორია ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, სოციალური სტატუსის თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, 3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სკოლაში სიარული აფერხებს სწავლის ეფექტიანობას, 4. სხვა რელიგიის წარმომადგენელი მოსწავლეები ხელს უწყობენ სკოლაში მრავალფეროვანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, 5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს შეუძლია გახდეს წარმატებული, 6. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან დაკავშირებით ხანდახან კონფლიქტური სიტუაციები იქმნება.

ამ დებულებების შეფასებისას, „დათანხმება-არდათანხმების“ სკალაზე[20], გამოვლინდა პროცენტული მაჩვენებლების შემდეგი სურათი:

გრაფიკი N20



ამ შედეგების შედარება კითხვარის სხვა მიმართულების პასუხებთან ავლენს რამდენიმე საინტერესო მონაცემს, კერძოდ: სკოლაში საყოველთაო თანასწორობის პრინციპს ემხრობა მოსწავლეთა იმ ჯგუფის 53%, ვინც ძალადობად არ მიიჩნევს მოსწავლის დაცინვას ნაკლებად პრესტიჟულ უბანში ცხოვრების გამო, მოსწავლეების ის 48%, ვისთვისაც დასაშვებია თანატოლების დამცირება ეროვნების გამო, იმ მოსწავლეთა 53.7%, ვისთვისაც ძალადობა არ არის თანატოლის დამცირება ჩაცმულობის, აქსესუარების ტარების ან გარეგნობის გამო და მოსწავლეთა იმ ჯგუფის 54.9% ვინც ძალადობად არ მიიჩნევს თანატოლის დამცირებას აკადემიური მოსწრების გამო.

20 მონაცემები დათვლილია 4–ბალიან სკალაზე, სადაც 4 ნიშნავს „სრულიად ვეთანხმები“, ხოლო 1 – „სრულიად არ ვეთანხმები“. სკალის ნეიტრალური პუნქტია 2.5; მონაცემები 2.5–ზე ზევით შეესაბამება დადებითი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები 2.5–ზე ქვევით – უარყოფითი შეფასების ველს.

გარდა ამისა, ყველას თანასწორობის შესახებ დებულებას დაეთანხმა იმ მოსწავლეების 73.7%, ვინც აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სკოლაში მოსვლა შეაფერხებს სწავლის ეფექტიანობას და იმ მოსწავლეთა 41.8%, ვინც უარყო, რომ სხვა რელიგიის წარმომადგენელი მოსწავლეები ხელს უწყობენ მრავალფეროვანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას სკოლაში.

კვლევის მონაცემებში ასევე გამოჩნდა, რომ მოსწავლეები ეთანხმებიან შემდეგ ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებს: მოსწავლეების ჯგუფში, ვისაც ეროვნების გამო თანატოლის დამცირება ძალადობად არ მიაჩნია, 30% აღნიშნავს, რომ სხვა რელიგიის წარმომადგენელი მოსწავლეები ხელს უწყობენ სკოლაში მრავალფეროვანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ხოლო მოსწავლეების ჯგუფში, ვინც ძალადობად არ მოიაზრებს შეურაცხყოფას რელიგიური აღმსარებლობის ან მოსაზრების გამო, 48.6% სრულად ეთანხმება, რომ სკოლაში ყველა თანასწორია ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, სოციალური სტატუსის თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად.

ყოველივე ეს სავარაუდოდ მიუთითებს, რომ რესპონდენტების/მოსწავლეების რეალური დამოკიდებულება განსხვავებულის/უმცირესობის მიმართ გარკვეულწილად განსხვავდება მათ მიერ დეკლარირებული დამოკიდებულებისაგან და კიდევ ერთხელ ადასტურებს სკოლაში ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპების სწორად გააზრების აუცილებლობას და მოსწავლეების მიმართ ძალადობის პრობლემის აქტუალობას.

3. დასკვნა

მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებში საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების სრულფასოვანი განხორციელების მხრივ, საქართველო კვლავ არაერთი გამოწვევის წინაშე დგას.

მიღებული შედეგების მიხედვით, იმ სკოლებში, სადაც სახალხო დამცველის აპარატმა მონიტორინგი ჩაატარა, გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახეზეა ძალადობის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ფორმები როგორც მოსწავლეებს შორის, ისე უფროსების, განსაკუთრებით, მოსწავლეებთან აქტიურ კომუნიკაციაში მყოფი პირების მხრიდან. ამასთან, მონიტორინგმა გამოკვეთა სტერეოტიპული, და რიგ შემთხვევებში, დისკრიმინაციული აზროვნება მოსწავლეებსა და მასწავლებლებში; პრობლემად რჩება სკოლის თანამშრომლების მიერ ძალადობის პრევენცია, შემთხვევის გამოვლენა და ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული რეაგირება. შესაბამისად, სკოლებში მინიმალურია ძალადობის იდენტიფიცირებული ფაქტები და არ ასახავს ძალადობის გავრცელების სრულ სურათს. არათანმიმდევრულია მოსწავლეების ცნობიერება თავიანთი უფლება–მოვალეობებისა და ძალადობის არსის შესახებ; სკოლებს არა აქვთ ძალადობის დაძლევის ერთიანი პოლიტიკა.

სახალხო დამცველი მოუწოდებს სახელმწიფოს, შეიმუშაოს და წარმართოს კოორდინირებული პოლიტიკა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების არსებული მექანიზმების დასახვეწად. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ძალადობისგან ყოველმხრივ დაცვას მათი საუკეთესო ინტერესების განუხრელი გათვალისწინებით.

4. რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით, შემუშავდეს სპეციალური ღონისძიებები
- შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურების მონაწილეობით, შეიქმნას საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვის მიმართ ძალადობის გამოვლენილ შემთხვევათა შესწავლისა და რეაგირების მონაცემთა ერთიანი ბაზა
- ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურით განსაზღვრული მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედებისთვის გატარდეს ქმედითი ზომები, მათ შორის, ხელი შეეწყოს პასუხისმგებელ უწყებათა შორის კოორდინაციას და ჩატარდეს დადგენილების მოთხოვნათა შესრულების ეფექტიანი მონიტორინგი
- საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ფორმატში, გააქტიურდეს საინფორმაციო კამპანიები ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სკოლის პერსონალის, პედაგოგებისა და მშობელთა ცნობიერების ამაღლების საკითხებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- საჯარო და კერძო სკოლებში გააქტიურდეს მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებები
- სისტემური ხასიათი მიეცეს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას თავიანთ უფლება-მოვალეობებთან, ძალადობისგან დაცვის არსებულ მექანიზმებთან და ბულინგის ნეგატიურ გავლენასთან დაკავშირებით
- სკოლებში დისკრიმინაციისა და უთანასწორობის პრევენციისა და მსგავსი პრეცედენტების აღმოფხვრის მიზნით, ყურადღება გამახვილდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განსხვავებულის მიმართ მიმღებლობის, თანასწორობისა და ტოლერანტობის პრინციპების დანერგვასა და განმტკიცებაზე
- გაუმჯობესდეს პედაგოგებისა და სკოლის პერსონალის მომზადება–გადამზადების სისტემა ბავშვთა უფლებების დაცვის ძირითადი მექანიზმებისა და ძალადობისგან დაცვის, კერძოდ, ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციის, ძალადობის შემთხვევათა გამოვლენისა და სათანადო რეაგირების, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურით განსაზღვრული მექანიზმების და ქცევის მართვის პოზიტიური მეთოდების გამოყენების საკითხებში მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით
- დაიხვეწოს საჯარო სკოლებში პედაგოგთა და არასრულწლოვანთა დისციპლინური წარმოების წესი და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს ბავშვის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე სახელმწიფოს მხრიდან დროულ, ადეკვატურ, პროპორციულ და სათანადო რეაგირებას; ამავე მიზნით, დაკონკრეტდეს კერძო სკოლის პედაგოგთა და არასრულწლოვანთა დისციპლინური წარმოების წესი და პროცედურები
- განისაზღვროს კერძო სკოლებში ბავშვის უფლებადარღვევის ფაქტებზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმი, სადაც კონკრეტულად გაიწერება მონიტორინგის ორგანოს ფუნქციები და პროცედურები ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხების მოკვლევის პროცესში

- საჯარო და კერძო სკოლებში ბავშვის უფლებადარღვევის ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირებისათვის, მონიტორინგის ორგანოს მიეცეს პროაქტიური და არაგეგმიური მონიტორინგის უფლება
- ბავშვის მიმართ სავარაუდო ძალადობის გაცხადების შემთხვევაში, შემუშავდეს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვის ანონიმურობა სავარაუდო მოძალადის მხრიდან ზეწოლის თავიდან ასაცილებლად
- უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვის შეხედულებების გათვალისწინება და ჩართულობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- გაიზარდოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრების რაოდენობა და გაძლიერდეს უკვე არსებულის შესაძლებლობები
- უზრუნველყოფილ იქნეს მანდატურის სამსახურის ფუნქციონირება საჯარო სკოლებში მოსწავლეთა დადგენილი რაოდენობისა და საჭიროების გათვალისწინებით
- გააქტიურდეს მშობელთა ინფორმირება ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემისა და ბავშვის განვითარებაზე მისი გავლენის შესახებ, ასევე, ოჯახსა და საზოგადოებაში ბავშვის ძალადობისგან დაცვის გზებისა და ძალადობის ნიშნების ამოცნობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტს:

- საკანონმდებლო დონეზე მოსწავლეთა მიმართ სხეულებრივი დასჯის აკრძალვის პრინციპის დაცვის ვალდებულება გაიწეროს ბავშვის უფლებების მარეგულირებელ ყველა საკანონმდებლო აქტში
- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში დაიხვეწოს მოსწავლეთა, პედაგოგთა და სკოლის ადმინისტრაციის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოების წესი.

5. დანართი – მოსწავლეთა მინაწერები კითხვარებზე

მე-10 კლასელი გოგონა: „ძალიან გამიხარდა, რომ მოხვედით. მომწონს ეს ორგანიზაცია. ყოფილა შემთხვევა, რომ დირექტორთან მომსვლია კონფლიქტი ჩემი აზრის გამოთქმის გამო და მას ეს არ მოეწონა. ერთ-ერთი მოსწავლის მიმართ შეურაცხმყოფელი ფრაზები წამოვიდა, ბავშვის ფსიქიკას შეეხო და შეურაცხყოფა მიაყენა. ეს იყო ერთ იდეოლოგიაზე ბავშვის დაყვანა, რასაც მე არ ვეთანხმები და სულ შევეწინააღმდეგები, რადგან ყველა ადამიანს აქვს უფლება საკუთარი აზრი გამოხატოს. არის შემთხვევები, როცა მასწავლებელს გინდა აუხსნა, რომ შენ არ ჩაგიდენია რაიმე დანაშაული და გაჩუმებს, შეურაცხყოფას გაყენებს შეპასუხების გამო“.

მე-9 კლასელი ბიჭი: „ჩვენს სკოლაში ძალიან კარგი პირობებია. მე ძალიან კმაყოფილი ვარ. თუმცა არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ რამდენიმე თვის წინ ერთმა ბავშვმა მაღაზიაში რაღაც მოიპარა, ეს კი მთელმა სკოლამ გაიგო. ერთ-ერთი მასწავლებლის გაკვეთილზე მას დასცინეს და ქურდი უწოდეს. თვითონ მასწავლებელმაც დასცინა და შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც ბავშვი ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა“.

მე-11 კლასელი გოგონა: „ძვირფასო უფლებადამცველებო, ხშირად მსმენია სხვადასხვა მასწავლებლისგან, უკმაყოფილების გამოთქმა იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვზე ძალადობა ან ხმამაღალი სიტყვით მიმართვა არ შეუძლიათ, იმ სიტუაციაში, როცა ბავშვები დისციპლინას არღვევენ. ისინი პროტესტს გამოთქვამენ ამის შესახებ - თუ ბავშვის უფლებები ირღვევა, ჩემი რატომ არ ირღვევაო. სათანადო არგუმენტებს ვერასდროს ვაგროვებ, რომ სათანადო პასუხი გავცე, თუ რატომ არის ძალადობა ყველა შემთხვევაში გაუმართლებელი. ჩემი აზრით, ამ მხრივ მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება კარგი იქნებოდა არა მარტო სკოლაში, არამედ სხვადასხვა წრეების პედაგოგებისთვისაც, მაგალითად, ცეკვის, სიმღერისა და სხვა“.

მე-10 კლასელი გოგონა: „ჩვენს სკოლაში ხშირად ყოფილა ისეთი მომენტები, რომლებზეც წესით ყურადღებაა გასამახვილებელი, თუმცა როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდება, სკოლის დირექცია, დირექტორი, სასწავლო ნაწილი და მასწავლებლები ცდილობენ მიმალონ ეს ფაქტი. ხშირად ხდება ქურდობა, იკარგება ფული, რაზეც რეაგირებას არავინ ახდენს მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ხმამაღლა გამოგვითქვამს წუხილი. სკოლაში არიან მასწავლებლები, რომლებიც წვრილმანების გამო ძალადობენ ბავშვებზე. ეს არის - ყურის აწევა, თმის მოქაჩვა, დამამცირებელი სიტყვებით მიმართვა, უტაქტო საუბარი, ჯოხით ცემა და იმის მაგივრად, რომ რაიმე ზომა მიიღონ და ეს მასწავლებელი გაუშვან, ბავშვებს აფრთხილებენ, რომ ამ ფაქტების შესახებ ოჯახში არ მოყვნენ. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირებს სრულიად გაუფრთხილებლად, უნებართვოდ შეუძლიათ შემოსვლა და ბავშვებთან გასაუბრება, თუნდაც საგაკვეთილო პროცესზე. როგორც წესი, ყველას გვაქვს აზრის გამოხატვის უფლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მაგრამ თუ ჩვენი აზრი მასწავლებლის აზრს არ ემთხვევა, ამ შემთხვევაში მოსწავლეს შეურაცხყოფას აყენებენ“.

მე-10 კლასელი გოგონა: „სკოლაში საკმაოდ ხშირად ხდება ქურდობა. ჩემთვისაც მოუპარავთ, თუმცა სკოლის ადმინისტრაციას, დამრიგებელს, მასწავლებლებს არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. ამბობენ, რომ კლასში ჩანთა თუ საფულე არ უნდა დავტოვოთ, რადგან მეტი არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, თუმცა ჩემი აზრით, სავსებით შესაძლებელია ამ პრობლემის გადაჭრა. ხანდახან შევსწრებივარ, როდესაც მასწავლებელი დაბალკლასელ მოსწავლეზე ძალადობს, რის გამოც მოსწავლე ტირილამდე მისულა, რაც დამცირების და უფლების შელახვის სერიოზული მაგალითია“.

მე-11 კლასელი ბიჭი: „არ არის აუცილებელი ადამიანის უფლებათა დამცველი ერქვას პროფესიას და მხოლოდ ის იცავდეს ადამიანის უფლებებს. ეს განურჩევლად ყველა ადამიანის ვალია“.

მე-9 კლასელი გოგონა: „მასწავლებლები ახორციელებენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოსწავლეებზე და ითხოვენ მათგან იმაზე მეტს, ვიდრე სავალდებულოა, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში - ემუქრებიან“.

მე-9 კლასელი ბიჭი: „ამ სკოლაში მასწავლებელი მოსწავლეს ხშირად ამცირებს, შეურაცხყოფას აყენებს და ბავშვებს განასხვავებს ერთმანეთისგან სხვადასხვა კრიტერიუმებით“.

მე-9 კლასელი ბიჭი: „სამწუხაროდ, ჩვენს სკოლაში არის ხოლმე სიტუაციები, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს ამცირებს, ხშირია მოსწავლეების ერთმანეთისგან გამორჩევა და აჩემება“.

მე-9 კლასელი ბიჭი: „ხშირად არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელს ჰყავხარ ამოჩემებული და უმიზეზოდ გაძლევს შენიშვნებს“.

მე-11 კლასელი ბიჭი: „საშინელი სიტუაციაა ახალგაზრდებს შორის, ამას სამწუხაროდ ვერ შეცვლის სახალხო დამცველის აპარატი, მაგრამ კორექტივების შეტანა შეუძლია. განვითარების დონით კი ვერ დავიკვეხნით და პირიქითაც, ჩვენი დონე მეტისმეტად დაბალია იმისათვის, რომ პრეტენზია გვქონდეს რამის შესახებ. მადლობა თქვენ მცდელობისთვის“.

მე-10 კლასელი ბიჭი: „მე მსურს ჩემს სკოლას ჰქონდეს სპორტული დარბაზი და ბუფეტი, რათა ბავშვები უფრო ჯანსაღ გარემოში სწავლობდნენ“.

მე-11 კლასელი გოგონა: „მსურს მასწავლებლები არ ლანძღავდნენ და ამცირებდნენ მოსწავლეებსა თუ მათ მშობლებს თანაკლასელების წინაშე“.

მე-10 კლასელი გოგონა: „ძალიან ხშირია მასწავლებლის მხრიდან მშობლის შეურაცხყოფა და წყევლა. რაც შეეხება ნდობას მასწავლებლებისადმი, არცერთ მათგანს არ ვენდობი, ხოლო იმ ფაქტს, რომ ნებისმიერ დროს შეგვიძლია თამამად გამოვთქვათ საკუთარი აზრი, ეს ჩვენი სკოლის ახალი დირექტორის დამსახურებაა“.

მე-9 კლასელი გოგონა: „საგნის მასწავლებელი თითქმის ყოველდღე ძალადობდა ჩემზე ფსიქოლოგიურად. არ მრთავდა არანაირ ღონისძიებაში. მივმართე დამრიგებელს. მართალია, მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა, მაგრამ თითქმის იგივე გრძელდება. პედაგოგი არ იბარებს ჩემგან გაკვეთილს და არ მიფასებს დავალებას“.

მე-10 კლასელი გოგონა: „ჩემი აზრით, ჩვენი სკოლა ძალიან დაცულია და არ გააჩნია კითხვარში ჩამოთვლილი პრობლემები. ჩვენს კლასში ოთხი-ხუთი წლის წინ იყო ამგვარი პრობლემები, თუმცა ეს ყველაფერი მოგვარდა ჩვენი დამრიგებლის დახმარებით და ახლა თანაკლასელებს ჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან“.

მე-12 კლასელი გოგონა: „მადლობა თქვენ აქ მობრძანებისთვის. სინამდვილეში ძალადობა იმაზე აქტუალურია, ვიდრე ამას ვაცნობიერებთ. აუცილებელია დროული რეაგირება. ძალადობა ხელს უშლის მოსწავლის სრულფასოვან ადამიანად ჩამოყალიბებას, რაც საზიანოა მთელი ერისათვის, არათუ ერთი კონკრეტული პირისთვის“.

მე-11 კლასელი გოგონა: „ჩემს სკოლაში შევცვლიდი მასწავლებლების მიმართ მფარველურ დამოკიდებულებას. მაგალითად, სკოლაში არიან ისეთი პედაგოგები, რომლებიც ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებ მოსწავლეებს, თუმცა მათი დიდი ხნის სამუშაო გამოცდილებისა და ასაკის გამო, მათ ამ საქციელს არ მოჰყვება სათანადო რეაგირება“.

მე-9 კლასელი გოგონა: „მასწავლებლების უმრავლესობა ქრთამს იღებს ნიშნის დაწერის სანაცვლოდ“.

მე-9 კლასელი გოგონა: „1. როდესაც გაკვეთილის დროს მოსწავლეები ტუალეტში გასვლას ითხოვენ, მასწავლებლებს ერთი პასუხი აქვთ - რას აკეთებდი შესვენებაზე, ან პირად შეურაცხყოფაზე გადმოდიან, თუ როგორ არ/ვერ ვიკავებთ თავს. 2. მასწავლებელი ფიზიკურად ეხება ბავშვს ხელით. 3. ხშირია შენიშვნა ვარცხნილობის გამო და გაშლილი თუ დახვეული თმის ტარების დაშლა. 4. სკოლის ტუალეტებში არის ანტისანიტარია, არ არის ხელსაბანები. 5. სკოლის ტერიტორია არ არის დაკეტილი, შემოდიან ძაღლები. 6. ბავშვები ძალადობენ ერთმანეთზე 6. ბავშვები ძალადობენ სკოლაში ცხოველებზე. 7. პედაგოგი ნიშანს გაკლებს, თუ სხვა პედაგოგთან ემზადები. 8. სკოლაში არ არის მოწესრიგებული ბუფეტი. 9. სკოლაში არ არის სასმელად ვარგისი წყალი".

მე-11 კლასელი ბიჭი - „ჩემთვის პრიორიტეტი ადამიანის უფლებებია. ყოველგვარი ძალადობის მოწინააღმდეგე ვარ. ვფიქრობ, რომ პედაგოგებმა, განსაკუთრებით კი სოფლის სკოლებში, უფრო რეალურად უნდა შეხედონ და შეაფასონ არასრულწლოვანთა უფლებები და მოეპყრონ მათ ისე, როგორც ეს ადამიანს შეეფერება. პირადად მე, მქონია შემთხვევა, რის გამოც კონკრეტული ქმედება ვერ ჩავიდინე და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ პედაგოგმა გარკვეული შეზღუდვა დამიწესა. მე ვურჩევდი, რომ თანამედროვეობას ფეხი აუწყონ და ისე იაზროვნონ, როგორც საჭიროა. შესაბამისად, მინდა რომ მათი მიდგომა ბავშვების მიმართ რადიკალურად შეიცვალოს (ცუდის შემთხვევაში) და განსხვავებული აზრი ისე შეითვისონ, როგორც ეს ცივილიზებულ ადამიანს შეეფერის. ჩემი აზრით, პედაგოგთა გარკვეული ნაწილი არ არის დაკავებული აღმზრდელობითი მუშაობით, არამედ პირიქით".

მე-11 კლასელი გოგონა -„ძირითადად, სკოლებში სიტუაცია არ არის ისეთი, როგორც გარედან ჩანს, მითუმეტეს რეგიონებში. თქვენ ჩამოხვედით, სტუმარი მიგიღეს კარგად, უი დატრიალდა ყველა - არიქა სტუმარია, მასწავლებლები ყავის ჭიქებს უჯრაში აგდებენ, ვითომ საქმეს აკეთებენ. აქ ყველაფერი სხვაგვარად არის. მე გამლახა მასწავლებელმა და რა ხდება ამ დროს. ზუსტად გეტყვით. ის მასწავლებელი (ვინც მცემა) მაგდებს გარეთ და მაყოლებს დამცინავ რეპლიკას. მე ბიბლიოთეკაში ვიცდი, როდის დაირეკება ზარი, თან მეშინია, რადგან ზუსტად ვიცი, „დამერხა". ირეკება ზარი, ვხედავ დედაჩემს, თან ისეთი სახე აქვს, „თუ გადარჩი, მე მოგკლავ". დამრიგებელიც დაახლოებით ასე მიყურებს. იწყება გამოკითხვა, რა მოხდა გაკვეთილზე. არაფერია გარკვეული და დამრიგებელი ამბობს - შენი ბრალი იქნებოდა. მაგდებენ დირექტორის კაბინეტში, თან ჩვენს დირექტორს ისეთი საზარელი სახე აქვს, როცა ბრაზდება -მტერს. დამაყენეს შუაში, გვერდით დედაჩემი, ირგვლივ მასწავლებლები და დირექტორი. ახლა იწყება კითხვები, მოყევი როგორ იყო. მეც ვყვები მართლა როგორ იყო. წამიერი დუმილი და ერთხმად - „არა მგონია ასე ყოფილიყო". ანუ, **როგორი სიტუაცია იქმნება, იცით, რომც არ იყო დამნაშავე, იმხელა ზეწოლას მოახდენენ, რომ გათქმევინებენ. აი იწყება გაუთავებელი ლანძღვა და დამსწრე მასწავლებლების წამოძახილები - რაც მამა, ის შვილი. აი, ხდება უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლა. ერთი საათი ვილანძღები, ვინც გაბრაზებულია, ისიც ჩემზე იყრის ჯავრს.** მთავრდება ლანძღვა და მთავრდება სიტყვებით -„ამ ერთხელ გაპატიებთ და აღარ ქნა". მე მაპატიებენ. გავდივართ კლასში და დამრიგებელი - „ყოჩაღ შენს ქალობას" და ყველაფერი მთავრდება ასე - **ვინ გეკითხება - რა ხდება, რატომ, როგორ? უეჭველად დამნაშავე ხარ. რა უფლებები, რის უფლებები, ხო არ „ღადაობთ". აქ არავის აქვს უფლება, რომ უფლებები ჰქონდეს. აუცილებლად ბავშვია დამნაშავე და მასწავლებელს ეპატიება, რადგან მასაც აქვს ნერვები და ისიც ადამიანია. ბავშვმა კი უნდა აიტანოს მისი „წამოვლები". არავის აინტერესებს უფლებები - არც ის, რა მოხდა და როგორ. თუ რამე საჯაროდ თქვი, „შპიკი" და „ჩამშვები" ხარ. ხოლო თუ ძალიან დაგიშავეს, ნათესავები არიან დიდი და მისი დიდი ბებიები,** ამიტომ... **ანონიმურად რომ არ იყოს ეს გამოკითხვა ჰა-ჰა ორი ბავშვი წამოსულიყო. გავალთ აქედან და დაიწყება კითხვები „აბა რა ქენით?", მაგრამ არავინ იტყვის. საშინელი სიტუაციაა და კარგია, თუ მიექცევა ყურადღება მანამ, სანამ ვინმე არ შეეწირება".**

მე-11 კლასელი გოგონა -„მე მინდა, რომ საქართველოს ყველა სკოლაში ან სხვა ნებისმიერ დაწესებულებაში სუფევდეს სამართლიანობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, დაცული უნდა იყოს ჩვენი უფლებები, რაზეც უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა ვიზრუნოთ და შემდეგ ამაში დაგვეხმარებიან შესაბამისი ორგანოები. ადამიანს დაბადების დღიდან აქვს საკუთარი უფლებები და სხვას არავის აქვს მათი დარღვევის უფლება. არა ძალადობას!"

მე-11 კლასელი გოგონა: „სკოლაში საგნის მასწავლებელი არ უნდა არღვევდეს ბავშვის უფლებებს. ბავშვებს არ უნდა უწევდეთ მასწავლებლის ლანძღვის მოსმენა. მასწავლებელმა უნდა შეძლოს ბავშვის დაწყნარება ყვირილის და შეურაცხყოფის გარეშე. სკოლაში ყველა ბავშვი თანასწორი უნდა იყოს, ბავშვებს ერთმანეთისგან არ უნდა გამორარჩევდნენ".

მე-9 კლასელი გოგონა: „1. რამდენად აუცილებელია სკოლაში ჩაცმისა და აქსესუარების კონტორილი? არის თუ არა სავალდებულო ამის რაღაც ჩარჩოებში ჩასმა? 2. უნდა ვიყოთ თუ არა პასუხისმგებელი ჩვენივე ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე სკოლაში? 3. კონტროლდება, ხდება თუ არა მასწავლებლების გადამზადება ფსიქოლოგიურად და არიან თუ არა ინფორმირებული დასჯის მეთოდებზე? რატომ არ აღმოიფხვრა აქამდე, რატომ არის ეს პრობლემა ისევ?"

მე-11 კლასელი გოგონა: „1. ჩვენს სკოლაში სამწუხაროდ არის პრობლემა და დამცირება ჩაცმულობის გამო მასწავლებლების და ადმინისტრაციის მხრიდან. თუ კი მათ არ მოსწონთ დახეული ჯინსები და ასე შემდეგ, უმორჩილესად გთხოვთ, შემოიღონ ფორმები. 2. არის დამამცირებელი კომენტარები მასწავლებლებისგან მოსწავლის არაქართველურ წარმოშობასთან დაკავშირებით. ასევე, მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე".

მე-11 კლასელი გოგონა: „1. მოსწავლის ჩაგვრა, შეურაცხყოფა, დამცირება. 2. ჩაცმულობის გამო დამცირება, შევიწროება. 3. მუქარა, ხელით შეხება. 4. მოსწავლეების მხრიდან სხვა მოსწავლის ჩაგვრა".

მე-10 კლასელი გოგონა: „თუ მასწავლებელს არ შეუძლია მოსწავლეების დამშვიდება ან საინტერესო, პროფესიონალიზმით აღსავსე გაკვეთილის ჩატარება, მაშინ მან, ჩემი აზრით, ხელი უნდა აიღოს (უარი თქვას) საკუთარ პროფესიაზე. ამით მოსწავლის უფლების დარღვევას მაინც აირიდებს თავიდან. არსებობენ მასწავლებლები, რომლებიც უსამართლოდ ექცევიან მოსწავლეებს. მაგალითად, თუ მოსწავლეს ხატვა არ შეუძლია, მასწავლებელი მას ფიზიკურად გასწორებია (ყოფილა ასეთი შემთხვევა), თუ მოსწავლე არ დადის იმ მასწავლებელთან, რომელიც ამ საგანს სკოლაში ასწავლის, მას ნიშანს აკლებენ ან ზღუდავენ, არ გაჰყავთ დაფასთან, იძულებულს ხდიან, რომ მოემზადოს სკოლის მასწავლებელთან, როცა სკოლაში 60-70 სპეციალისტია და აქედან მაქსიმუმ 5-10-ს აქვს სერტიფიკატი. სამწუხაროდ ისე ხდება, რომ ზოგჯერ მასწავლებლებს არ არჩევენ პროფესიონალიზმით და სკოლაში იმიტომ იღებენ, რომ დირექტორის ან სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელია. ჩემი აზრით, ამ დროს ირღვევა მოსწავლის უფლება, რომელსაც სურს სრული პროფესიონალიზმით მიიღოს განათლება. ასევე, გვყავს მანდატურები, რომლებიც მხოლოდ ოქმის გაფორმებაზე არიან კონცენტრირებულები. ყოფილა შემთხვევა, რომ მოსწავლისთვის ოქმი სიტუაციის გაურკვევლად გაუფორმებიათ. დერეფნებში მოსწავლეები ფიზიკურად ეხებიან ერთმანეთს ან არღვევენ წესრიგს, სკოლაში შემოაქვთ საახალწლო ასაფეთქებლები და ყველგან აფეთქებენ. ამ დროს მანდატურები არაფერს აკეთებენ ან უბრალო შენიშვნით შეიფარგლებიან, რაც უშედეგოა და ყოველდღე იგივე მეორდება. იმედია, სახელმწიფო ნახავს ამ ყველაფერს და მიიღებს შესაბამის ზომებს, რათა მოსწავლეებმა მიიღონ შესაბამისი განათლება და ბოლოს ჩამოყალიბდნენ ადამიანებად, რადგან როგორც იცით, სკოლა, საზოგადოება და ოჯახი უდიდეს გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე".